ინოვაციები რეგიონის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში

პაატა კოღუაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ს სრული პროფესორი
E-mail: paata_koguashvili@hotmail.com
ნათელა მარტინენკო
სტუ-ს უფროსი მასწავლებელი,
დოქტორანტი
E-mail: natiamart@mail.ru

რეზიუმე

უახლოეს პერსპექტივაში ერთ-ერთ სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის ისეთი ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც მოგვცემს ინოვაციური რესურსების საჭირო ბალანსის უზრუნველყოფის საშუალებას, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს მთლიანობაში რეგიონის მდგრად განვითარებას. თანამედროვე საქართველოში, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო პროცესების აქტიურ მონაწილეს, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემებს მართვის ყველა დონეზე. მდგრად განვითარებაზე გადასვლის ერთ-ერთ ეტაპად უნდა იქცეს ძირითადი სტრუქტურული გარდაქმნები ეკონომიკაში, ტექნოლოგიური განახლება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესის არსებითი ეკოლოგიზაცია. ამასთან, ქვეყნის ეკოლოგიური კეთილდღეობა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი უპირველეს ყოვლისა ბუნებრივი პოტენციალის გამოყენების რაციონალიზაციის ხარჯზე.

XXI საუკუნის დასაწყისის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ნიშნად იქცა მისი გადასვლა განვითარების ახალ, ინოვაციურ ფაზაზე. ინდუსტრიული ეკონომიკა, რომელიც იყენებდა ბუნებრივ რესურსებს, შეცვალა ეკონომიკამ, რომელიც ეფუძნება ცოდნას და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. ამგვარად, ასეთი ტიპის ეკონომიკის წარმოების საკვანძო ფაქტორებს წარმოადგენენ ინტელექტუალური რესირსები და ცოდნა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის ინოვაციური გზით განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მეცნიერებისა და ინოვაციების განვითარების სტრატეგიის შემუშავება. აღნიშნული სტრატეგიის ძირიტად ამოცანებს უნდა მიეკუთვნებოდეს ფუნდამენტალური კვლევების განვითარება, გამოგონებებისა და კვლევების სექტორის შედეგიანობის ამაღლება, ინტეგრაცია გლობალურ ეკონომიკაში, ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება.

ინოვაციური პროცესების ეფექტიანი მართვა ყველა დონეზე მოგვცემს ქვეყნის, მისი რეგიონების, ცალკეული ტერიტორიების მდგრადი განვითარების საშუალებას.

განვითარების ინოვაციური გზის, როგორ დომინირებულის, არჩევა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- ინოვაციები წარმოადგენენ მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ საკვანძო ფაქტორს. განვითარების თანამედროვე ეტაპის თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ ინოვაციები აუცილებელი პირობაა და ძირითადი მამოძრავებელი ძალაა მრეწველობის ყველა სექტორის განვითარებისა.
- ინოვაციები ახდენენ არსებით გავლენას როგორც ცალკეული საწარმოების კონკურენტუნარიანობაზე, ისე რეგიონის და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე. ემპირიული კვლევებით დადასტურებულია ინოვაციურ ეკონომიკასა და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს შორის დამოკიდებულება. კონკურენტუნარიანობის ინოვაციური გზის ალტერნატივად შეიძლება გამოდგეს განვითარება რესურსების ბაზის საფუძველზე, რაც უმრავლეს შემთხვევაში იწვევს ეფექტიანობის ვარდნას ტრადიციულ დარგებში, დამოკიდებულებას რესურსებზე მსოფლიო ფასების რყევებზე, ეროვნული უსაფრთხოების საფრთხეს, ბუნებრივი რესურსების მარაგებზე დამოკიდებულებას და ა.შ.
- ინოვაციები იძლევიან მეცნიერტევადი პროდუქციის არსებულ მსოფლიო ბაზარზე გასვლისა და ახლების შექმნის საშუალებას. ახალი ტექნოლოგიების და მეცნიერტევადი პროდუქციის მსოფლიო ბაზრის წლიური ბრუნვა რამოდენიმეჯერ აღემატება ბრუნვას ნედლეულის, მათ შორის ნავთობისა და გაზის ბაზარზე. მსოფლიო ბაზრის ამ პერსპექტიულ სეგმენტზე გასვლა შესაძლებელია ინოვაციებით უზრუნველყოფილი დივერსიფიკაციის ხარჯზე.

ტერმინი „ინოვაცია” პირველად შემოღებული იქნა შუმპეტერის მიერ 1912წ. ნაშრომში

„ეკონომიკური განვიტარების თეორია". ინოვაციის ქვეშ იგი გულისხმობდა სიახლეს, რომელიც გამოყენებულია წარმოების ტექნოლოგიის სფეროში ან სამეურნეო სუბიექტის მართვაში. შუმპეტერის თანახმად, ინოვაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ ძალას, მოგების გენერატორს.

განვლილი 100 წლის შედეგად ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ცნებამ „ინოვაცია" მიიღო უფრო ფართო აზრი და ახლა უკვე მიეკუთვნება არა მხოლოდ წარმოების ტექნოლოგიების დარგს, არამედ ვრცელდება ორგანიზაციულ, ფინანსურ და ნებისმიერ სხვა მეთოდებზე, რომლებიც ხელს უწყობენ როგორც საწარმოს, ისე რეგიონის და მთლიანად ქვეყნის განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ სამამულო პრაქტიკაში ინოვაციას განიხილავენ როგორც ინოვაციური საქმიანობის საბოლოო შედეგს (ან უბრალოდ შედეგს), საზღვარგარეთ მას მიიჩნევენ როგორც საქმიანობას, ცვლილებების პროცესს.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვაგვარი მიდგომები ინოვაციების კლასიფიკაციისადმი. ინოვაციების კლასიფიკაცია ნიშნავს მათ განაწილებას კონკრეტულ ჯგუფებად განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. ამასთანავე, ერთი და იგივე ინოვაცია შეიძლება მიეკუთვნოს რამოდენიმე სახეს გამოყენებული კლასიფიკაციის კრიტერიუმებზე დამოკიდებულების მიხედვით.

ინოვაციების ყველაზე სრული კლასიფიკაცია შემდეგნაირად გამოიყურება:

1. სიახლის დონის მიხედვით ინოვაციები და სიახლეები იყოფა რადიკალურებად და ორდინალურებად.

2. ინოვაციები შეიძლება დაინერგოს სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა სტადიებზე: სტრატეგიული მარკეტინგის სტადიაზე, საწარმოს ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური მომზადების სტადიაზე, უშუალოდ წარმოების და გაყიდვის შემდგომი მომსახურების სტადიაზე.

3. მასშტაბის მიხედვით ინოვაციები იყოფა სიახლედ მსოფლიო მასშტაბით, სიახლედ ქვეყნისთვის, სიახლედ დარგისთვის, სიახლედ საწარმოსთვის.

4. გამოყენების სფეროს მიხედვით ინოვაციები იყოფა ინოვაციებად, რომლებიც გამოიყენება ფირმის შიგნით, ინოვაციებად, ფირმაში დასაგროვებლად და ინოვაციებად, რომლებიც განკუთვნილია გასაყიდად.

5. გამოყენების სიხშირის მიხედვით ინოვაციები იყოფა ერთჯერად და განმეორებადად.

6. სიახლეების ფორმები არის შემდეგნაირი: აღმოჩენებები, გამოგონებები, პატენტები; რაციონალური წინადადებები; ნოუ-ჰაუ; სასაქონლო ნიშნები, სასაქონლო ემბლემები, სასაქონლო მარკები და სხვ.

7. სიახლის დანერგის შედეგად მიღებული ეფექტის სახეობების მიხედვით ინოვაციები არის სამეცნიერო-ტექნიკური, სოციალური, ეკოლოგიური, ეკონომიკური და ინტეგრალური.

8. ინოვაცია შეიძლება დაინერგოს ინოვაციური მენეჯმენტის სხვადასხვა ქვესისტემებში: სამეცნიერო თანხლების ქვესისტემაში, მიზნობრივ ქვესისტემაში, უზრუნველმყოფ ქვესისტემაში, მმართველობით ქვესისტემაში, მართვად ქვესისტემაში.

კლასიფიკაციის პირველი და მესამე მიმართულებები, რომლებიც ითვალისწინებენ ინოვაციების მასშტაბს და სიხლეს, ინოვაციური ცვლილების ინტენსივობას, მნიშვნელოვან წილად გამოხატავენ ინოვაციების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს და მნიშვნელობა აქვთ მათი შედეგების ეკონომიკური შეფასებისათვის და მმართველობითი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობებისთვის.

ეკონომიკურ ლიტერატურაში წარმოდგენილია ინოვაციების მრავალი კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად მხოლოდ ერთი კრიტერიუმი უდევს. ამასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს კლასიფიკაცია, რომლის ერთადერთ კრიტერიუმად გამოდის ინოვაციის რადიკალურობის ხარისხი და მათი სიახლის დონე:

1. საბაზისო ინოვაციები, რომლებიც ახდენენ უმსხვილესი გამოგონებების რეალიზაციას და ხდებიან ტექნიკაში რევოლუციური გადატრიალებების საფუძვლები, ახდენენ მისი ახალი მიმართულებების ფორმირებას, იწვევენ ახალი დარგების შექმნას.

2. გამაუმჯობესებელი ინოვაციები, რომლებიც ითვალისწინებენ საშუალო დონის გამოგონებების რეალიზაციას და ქმნიან ბაზას ტექნიკის (ტექნოლოგიების) ახალი მოდელების და მოდიფიკაციების შექმნისათვის, რომლებიც შეცვლიან მოძველებულ მოდელებს უფრო ეფექტიანებით, ან გააფართოებენ ამ თაობის ტექნიკის გამოყენების არეალს.

3. მიკროინოვაციები, რომლებიც აუმჯობესებენ გამოსაშვები ტექნიკის საწარმოო ან სამომხმარებლო მოდელებს და აუმჯობესებენ გამოყენებულ ტექნოლოგიებს მცირე გამოგონებების გამოყენების საფუძველზე, რაც ხელს უწყობს ამ მოდელების უფრო ეფექტიან წარმოებას, ან მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას.

4. ფსევდოინოვაციები, რომლებიც მიმართულია იმ მანქანებისა და ტექნოლოგიების მოდელების გაუმჯობესებაზე, რომლებიც წარმოადგენდნენ ტექნიკის გუშინდელ დღეს.ეს მხოლოდ ამყარებს და აძლიერებს წარმოებისა და პროდუქციის ტექნიკური დონის ჩამორჩენილობას.

ტექნოლოგიურ პარამეტრებზე დამოკიდებულებით ინოვაციები იყოფა პროდუქტულად და პროცესულად. ამასთან, ტექნოლოგიური პროდუქტული ინოვაცია გულისხმობს დამზადებას/კომერციალიზაციას ეფექტიანობის გაუმჯობესებული მახასიათებლებით. ხოლო ტექნოლოგიური პროცესული ინოვაცია ნიშნავს წარმოების ტექნოლოგიურად ახალი და მნიშვნელოვანწილად სრულყოფილი მეთოდების ათვისებას.

არატექნოლოგიური ინოვაციების ძირითად სახეობებს წარმოადგენენ ორგანიზაციული და მმართველობითი ინოვაციები.

ინოვაციების მიმართ სხვადასხვაგვარი მიდგომების განხილვისას უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ამდაგვარ კლასიფიკაციას გააჩნია საკმაოდ არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან მას გააჩნია პოტენციური უნარი მოგვცეს დეტალური წარმოდგენა ამა თუ იმ პროგრესული სიახლის მახასიათებლების შესახებ. ხოლო ეს უკანასკნელი აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური მხარდაჭერის განსახორციელებლად საწარმოებში ინოვაციების დანერგვისას.

ინოვაცია შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი ფორმებით:

- ახალი ტექნოლოგია;
- ახალი შეთავაზება ახალი საქონლის, მომსახურების ან პროცესების ფორმით;
- ახალი ბაზარი ან ბაზრის სეგმენტი;
- ახალი ორგანიზაციული ფორმა ან ახალი მიდგომა მენეჯმენტის მიმართ.

ინოვაციების შექმნისა და წარმოების მიხედვით თავისი მიზნების მისაღწევად ინოვაციური საწარმო ახორციელებს ინოვაციურ საქმიანობას, რომელიც წარმოადგენს სამეცნიერო, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, ფინანსური და კომერციული საქმიანობის ერთობლიობას, რომელიც მიმართულია ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტის შექმნისა და ბაზარზე დანერგვისაკენ, ახალი ან გაუმჯობესებული ტექნოლოგიური პროცესის შექმნისაკენ, პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებისაკენ, ან ახალი ან გაუმჯობესებული ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმის შექმნის ან გამოყენებისაკენ, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო ეკონომიკურ ან/და საზოგადოებრივ სარგებელს.

ამასთან, უნდა განვასხვავოთ ინოვაციური პროცესის ცნება. ინოვაციური პროცესი ნიშნავს ინოვაციების ინიციაციის თანმიმდევრულ მიზანმიმართულ ქმედებებს, ახალი პროდუქტებისა და ოპერაციების შემუშავებასთან მიმართებაში, ბაზარზე მათ რეალიზაციასთან მიმართებაში.

ინოვაციური პროცესი წარმოადგენს ელემენტების ერთობლიობას, რომლებიც გაერთიანებულები არიან ერთიან ჯაჭვში და ქმნიან ინოვაციური პროცესის სტრუქტურას. ასეთი ელემენტებს მიეკუთვნება:

- ინიციაცია;
- ინოვაციების მარკეტინგი;
- ინოვაციების გამოშვება (წარმოება);
- ინოვაციების რეალიზაცია;
- ინოვაციების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება;
- ინოვაციების დიფუზია.

ინოვაციური პროცესის ეფექტიანობა განისაზღვრება იმით, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან ზემოაღნიშნული ელემენტები. ამასთან, არა მხოლოდ სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს, არამედ მთლიანად ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ეფექტიანი ეროვნული ინოვაციური სისტემის შექმნა.

ეროვნული ინოვაციური სისტემა, ვიწრო ჭრილში განხილვისას, წარმოადგენს იმ ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ერთობლიობას, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული სამეცნიერო ძიების და ახალი ცოდნის, ახალი ტექნოლოგიების წარმოების პროცესში. ფართო გაგებით კი განიხილება ნებისმიერო ორგანიზაციები და სტრუქტურები, რომლებიც ზემოქმედებენ ინოვაციურ პროცესზე.

უფრო კორექტული იქნება ეროვნული ინოვაციური სისტემის გაგება როგორც ეკონომიკის სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი ურთიერთმოქმედი სუბიექტების განვითარებადი ერთობლიობა, რომლებიც ახორციელებენ ინოვაციურ საქმიანობას ფორმირებადი ეკონომიკური და ინსტიტუციონალური მექნიზმების საფუძველზე.ეროვნული ინოვაციური სისტემა აერთიანებს სახელმწიფოს, სამეცნიერო-ტექნიკური და საგანმანათლებლო სფეროს ორგანიზაციების, ეკონომიკის სამეწარეო სექტორის, საფინანსო-საკრედიტო სფეროს, სახელმწიფო სტრუქტურების დაინოვაციური სფეროს არასახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ძალისხმევებს ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების დაჩქარებული რეალიზაციის ინტერესებში მაღალტექნოლოგიური მეცნიერტევადი პროდუქციის ბაზარზე.

ეროვნული ინოვაციური სისტემის ფუნქციონირებაში განმსაზღვრელ როლს თამაშობს სახელმწიფო, რომელიც განსაზღვრავს ინოვაციური პროცესის მონაწილეთა ურთიერთქმედების წესებს ნორმატიულ-სამართლებრივი გარემოს შექმნის გზით. ეროვნული ინოვაციური სისტემის ძირიტად კომპონენტებს წარმოადგენენ ინოვაციური საქმიანობის სუბიექტები - ორგანიზაციები და ფიზიკური პირები, რომლებიც მონაწილეობენ ინოვაციური პროდუქტის შექმნასა და წინ წაწევაში, და ინფრასტრუქტურის ობიექტები - ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ ინოვაციური საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყოფენ მჭიდრო კავშირის წარმოქნას მეცნიერებასა და წარმოებას შორის.

ნათელია, რომ ქართული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა მნიშვენლოვანწილად განისაზღვრება ეფექტიანი რეგიონული ინოვაციური ინფრასტრუქტურების როგორც ეროვნული ინოვაციური სისტემის ქვესისტემების ფორმირების შესაძლებლობით.

ინოვაციური ინფრასტრუქტურის ქვეშ იგულისხმება ინოვაციური საქმიანობის სუბიექტების ერთობლიობა, რომლებიც ხელს უწყობენ ინოვაციური პროცესების განხორციელებას, ინოვაციური პროდუქციის შექმნისა და რეალიზაციის მიხედვით მომსახურების შეთავაზების ჩათვლით.

ჩვეულებრივ გამოყოფენ ინოვაციური ინფრასტრუქტურის შემდეგ ქვესისტემებს:

- ფინანსური: ფონდების სხვადასხვა ტიპებს (საბიუჯეტო, ვენჩურული, სადაზღვევო, საინვესტიციო), ასევე საფინანსო ინსტიტუტებს, ისეთებს, როგორიცაა, მაგალითად, საფონდო ბაზარი;
- საწარმოო-ტექნოლოგიური: ტექნოპარკები, ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრები, ბიზნეს-ინკუბატორები; ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრები და სხვა;
- საინფორმაციო: მონაცემების და ცოდნის ბაზა, მიღწევადობის ცენტრები, ასევე ანალიტიკური, სტატისტიკური, საინფორმაციო და სხვა ცენტრები;
- საკადრო: საგანმანათლებლო დაწესებულებები სამეცნიერო და ინოვაციური მენეჯმენტის მომზადების სფეროს მიხედვით და სხვა;
- საექსპერტო-საკონსალტინგო: ორგანიზაციები, რომლებიც დაკავებული არიან ინტელექტუალური საკუთრების პრობლემების მიხედვით, სერტიფიკაციის მიხედვით მომსახურების გაწევით.

გარდა ჩამოთვლილი ქვესისტემებისა, გამოყოფენ ასევე ინოვაციური ინფრასტრუქტურის გასაღების შემადგენელს, რომელიც წარმოდგენილია საშუამავლო ფირმებით, საერთაშორისო სავაჭრო გაერთიანებებით, საგამოფენო საქმიანობით და სხვ.

უახლოეს პერსპექტივაში ერთ-ერთ სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის ისეთი ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც მისცემს საწარმოს ინოვაციური რესურსების საჭირო ბალანსის უზრუნველყოფის საშუალებას, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს მთლიანობაში რეგიონის მდგრად განვითარებას.

ტერმინი „მდგრადი განვითარება" შემოვიდა მსოფლიო მეცნიერებასა და პოლიტიკაში 1992წ. გაეროს საერთაშორისო კონფერენციის შემდეგ. „მდგრადი განვითარების" ქვეშ იგულისხმება განვითარება, რომელიც დააკმაყოფილებს აწმყოს მოთხოვნილებებს, მაგრამ არ დააყენებს საფრთხის წინაშე მომავალი თაობების უნარს დააკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილებები. მსოფლიო მასშტაბით მდგრად განვითარებაზე გადასვლის უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა და პოლიტიკოსებმა განსაზღვრეს ცივილიზაციის განვითარების პრინციპები მთლიანობაში და ცალკეული ქვეყნებისათვის, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ თავიდან ავირიდოთ გლობალური კრიზისული მოვლენები და უზრუნველყოფენ როგორც ამ თაობის, ისე შემდგომი თაობების ღირსეულ ცხოვრებას. განვითარების აღნიშნული პრინციპები გულისხმობენ სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგების შეფასების აუცილებლობას მათ ერთიანობასა და ურთიერთკავშირში.

„ადამიანური პოტენციალის განვითარების შესახებ" მოხსენების მიხედვით, რომელიც წარმოდგენილი იყო გაეროში 1994წ., მდგრადი განვითარება განიხილება არა მხოლოდ ისეთად, რომელიც წარმოშობს ეკონომიკურ ზრდას, არამედ ისეთადაც, რომელიც ხელს უწყობს მისი შედეგების უფრო სამართლიან განაწილებას, აღადგენს ბუნებრივ გარემოს, ზრდის ადამიანების შესაძლებლობებს.

მდგრადი განვითარების კონცეპცია მოიცავს შემდეგ დებულებებს:

- ყურადღების ცენტრში არიან ადამიანები, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ ჯანსაღი და ნაყოფიერი ცხოვრების უფლება ბუნებასთან ჰარმონიაში;
- გარემოს დაცვა უნდა იქცეს განვითარების პროცესის განუყოფელ კომპონენტად და არ შეიძლება განხილული იქნეს მისგან მოწყვეტილად;

-განვითარების უფლება უნდა რეალიზებული იქნეს იმდაგვარად, რომ თანაბარი ზომით უზრუნველყოს როგორც ამჟამინდელი, ისე მომავალი თაობების განვითარებასა და გარემოს დაცვაში მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;

-მსოფლიოს ხალხთა ცხოვრების დონეში განსხვავების შემცირება, სიღატაკის და სიღარიბის ამოძირკვა.

თანამედროვე საქართველოში, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო პროცესების აქტიურ მონაწილეს, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემებს მართვის ყველა დონეზე.

მდგრად განვითარებაზე გადასვლის ერთერთ ეტაპად უნდა იქცეს ძირითადი სტრუქტურული გარდაქმნები ეკონომიკაში, ტექნოლოგიური განახლება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესის არსებითი ეკოლოგიზაცია. ამასთან, ქვეყნის ეკოლოგიური კეთილდღეობა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი უპირველეს ყოვლისა ბუნებრივი პოტენციალის გამოყენების რაციონალიზაციის ხარჯზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Экономика инновационного развития Под ред. М.Кудиной М.: ИНФРА-М, 2014

2. А. Мухамедьяров. Инновационный менеджмент.М.: ИНФРА-М, 2008

3. Гутников О.В. Сопостовительный анализ и оценка законодательных моделей регулирования инновационной деятельности // Законодательство и зкономика. 2006. #10.

4. http://cyberleninka.ru

ИННОВАЦИИ В ОБЕСПЕЧЕНИИ УСТОЙЧИВОГО РАЗВИТИЯ РЕГИОНА

ПААТА КОГУАШВИЛИ
профессор ГТУ, Доктор экономических наук
НАТЕЛА МАРТЫНЕНКО
ГТУ ст. преподаватель, докторант

Одной из серьезных задач на ближайшую перспективу является создание такой инфраструктуры инновационной деятельности, которая обеспечила бы необходимый баланс инновационных ресурсов предприятий, и, в конечном результате, способствовала бы устойчивому развитию региона в целом. В современной Грузии, являющейся активным участником международных процессов, значительное внимание уделяется проблемам устойчивого развития экономики на всех уровнях управления. Одним из этапов перехода к устойчивому развитию должны стать преобразования в экономике, технологическоеобновление, существенная экологизация процесса социально-экономического развития. Причем экологическое благополучие страны может быть обеспечено прежде всего за счет рационализации природного потенциала.

INNOVATIONS IN THE REGION'S SUSTAINABLE DEVELOPMENT

PAATA KOGUASHVILI
GTU Full Professor
NATELA MARTINENKO
Senior Teacher of GTU, Doctoral Candidate

One of the major task of the nearest perspective is to create an infrastructure of innovative activity, which gives us the opportunity to provide necessary balance of innovative resources, which ultimately will contribute sustainable development of the region. Nowadays Georgia is the active member of the international processes, so particular attention should be paid to the problems of sustainable development at all levels of management. One of stage of the transition to sustainable development should become the major structural changes in the economy, technological update and essential ecologization of the socio-economic development process. We should use natural environmental potential rationally, which will provide welfare of ecological prosperity.